სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესით რეგულირდება შპს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და მისი განხორციელების ზოგადი წესი.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია, უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინებისთვის (გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის განსხვავებული აკადემიური მომზადების დონისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არსებობისას, სხვ.), ასევე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებულ უნდა იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ, ასევე, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის საჭიროება და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ზუსტი შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

1. სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ:

3. სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ ხელმძღვანელებმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.
4. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 5. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.